

მოწვევა სატენდერო წინადადების წარმოდგენაზე

თარიღი	2020 წ. 21 აპრილი
სესხის # და დასახელება	სესხი #. 3291/3292-GEO: ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა – მე-5 ტრანში
კონტრაქტი # და დასახელება	UWSCG-ICB-HeadworkDevices-G02-2019– ხარჯშომების მოწოდება და მონტაჟი
სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა	2020 წ. 02 ივნისი 16:00 სთ

1. საქართველომ, აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის (USIIP) მე-5 პროექტის დაფინანსებისათვის, მიიღო სესხი. კომპანია გეგმავს, სესხის ნაწილი გამოიყენოს ზემოხსენებული ხარჯშომების შესყიდვის კონტრაქტის — **ხარჯშომების მოწოდება და მონტაჟი # UWSCG-ICB-HeadworkDevices-G02-2019** — ფარგლებში. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისათვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.
2. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) (შემსყიდველი) იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან, რათა მოაწოდოს 182 ერთეული ხარჯშომი საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საწყობში, საქართველოში, ქ. გორში, რომელიც მოგვიანებით უნდა დამონტაჟდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საქონლისა და დაკავშირებული მომსახურებების მოკლე აღწერა შემდეგია:

- d=50 მმ-დან d=150 მმ-მდე ზომის 56 ცალი ულტრაბგერითი ხარჯშომის მოწოდება და მონტაჟი.
- d=150 მმ-დან d=350 მმ-მდე ზომის 95 ცალი ულტრაბგერითი ხარჯშომის მოწოდება და მონტაჟი.
- d=350 მმ-დან d=1200 მმ-მდე ზომის 31 ცალი ულტრაბგერითი ხარჯშომის მოწოდება და მონტაჟი.
- დამონტაჟებული ხარჯშომების სწორად ექსპლუატაციის ერთ კვირიანი ტრენინგი.

3. საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ტენდერი ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესაბამისად „ერთეულებით: ერთკონვერტიანი“ ტენდერის ფარგლებში და ღიაა უფლებამოსილი ქვეყნების ყველა პრეტენდენტისათვის, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია აღწერილი.

მინიმალური, მთავარი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს არა მხოლოდ შემდეგს:

- **ოპერირების მოცულობა (საშუალო წლიური ბრუნვა): 2,900,000.00 \$** მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა, რომელიც გამოითვლება საერთო გადახდების სახით, რაც პრეტენდენტმა მიიღო **ბოლო 3 წლის განმავლობაში** დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში. (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა პარტნიორმა — 40%);
- **ფულადი სახსრების ბრუნვა:** ლიკვიდური აქტივების, საკრედიტო ხაზებისა და სხვა ფინანსების არსებობა ან მათზე წვდომა, რაც საკმარისი იქნება, რათა დაკმაყოფილდეს ფულადი სახსრების ბრუნვის 1,300,000.00 \$ მოთხოვნა; და
- **საკონტრაქტო გამოცდილება:** სულ მცირე **1 კონტრაქტის (ღირებულებით 1,500,000 აშშ დოლარი)** წარმატებით დასრულება მთავარი მომწოდებლის სახით **ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში**, რომლის ბუნება, სირთულე მსგავსია მე-6 სექციაში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი მოწოდების მოცულობისა.

4. დაინტერესებულ პრეტენდენტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისაგან ქვემოთ მოცემულ ელექტრონულ მისამართზე:

ია მაზანიშვილი და/ან გიორგი მათიაშვილი

ელექტრონული ფოსტის მისამართი: i.mazanishvili@water.gov.ge; g.matiashvili@water.gov.ge.
n.abuladze@water.gov.ge; kh.amilakhvari@water.gov.ge

5. სატენდერო დოკუმენტების ინგლისურ ენაზე შესყიდვისათვის უფლებამოსილმა პრეტენდენტებმა:

- უნდა მიიწერონ ზემოხსენებულ მისამართზე **UWSCG-ICB-HeadworkDevices-G02-2019– ხარჯშომების მოწოდება და მონტაჟი** სატენდერო დოკუმენტების მოთხოვნით; და
- უნდა გადაიხადონ არაანაზღაურებადი საფასური 320 ლარის ან 100 აშშ დოლარის ოდენობით სატენდერო დოკუმენტების ელექტრონული ფორმატში მისაღებად. ელექტრონული გადარიცხვა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე:

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
ღსს Liberty Bank, ცენტრალური ფილიალი
SWIFT CODE: LBRTGE22
GE67LB0113123325230095 GEL
GE40LB0113123325230096 USD

სატენდერო დოკუმენტების მიღება შესაძლებელია ნაღდი ფულით ან ელექტრონული გადარიცხვით **გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე**; სატენდერო დოკუმენტები გაცემული იქნება მხოლოდ ელექტრონული ასლის სახით, მონაწილის ავტორიზებულ ელექტრონულ მისამართზე.

6. ჩააბარეთ თქვენი სატენდერო წინადადება:

- მე-4 პარაგრაფში მითითებულ მისამართზე;
- წარმოდგენის ბოლო ვადამდე ან წარმოდგენის ბოლო დრეს: **2020 წ. 02 ივნისი 16 სთ. ადგილობრივი დროით** სატენდერო წინადადების გარანტიით იმ ოდენობით, რაც აღწერილია სატენდერო დოკუმენტებში (მონაცემები).

სატენდერო წინადადებები გაიხსენება ბოლო ვადის ამოწურვისთანავე, პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, ვინც დასწრებას მოისურვებს.

დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

7. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ხარჯებზე, რასაც პრეტენდენტი გაიღებს სატენდერო წინადადებების მომზადებისა თუ ჩაბარებისას.